მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №16
2022 წლის 25 იანვარი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მარტვილის მუნიციპალიტეტის მერს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული 12 პოზიციიდან 6 ერთეულზე მეტით გათვალისწინებულ 6 პოზიციაზე.
2. განკარგულების მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (მის.: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა